განკარგულება:**g-37.37220212**
თარიღი:**21/01/2022**

განკარგულება N 4

ქ. ოზურგეთი 21 იანვარი 2022 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილების და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #628 დადგენილებისა და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების საფუძველზე გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მოწონებული იქნას 2022 წლებში კონკურსზე წარსადგენი ინფრასტრუქტურული საპროექტო იდეები:

1. ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური მოედნის და მიმდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია;
2. ქალაქ ოზურგეთში, ი. ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია;
3. ქალაქ ოზურგეთში, ი. პეტრიწის ქუჩაზე მდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკოსნტრუქცია;
4. ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე საჩოგბურთო ცენტრის

მშენებლობა;

5. ქალაქ ოზურგეთში, ე. ნინოშვილის ქუჩაზე დასასვენებელ-რეკრიაციული არიალის მოწყობა;

6. ქალაქ ოზურგეთში, სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია;

7. ქალაქ ოზურგეთში, ექადიის ტყეპარკის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის.

მუხლი 2. ნება დაერთოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი მუხლით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი